გადაუჭრელი ამოცანა

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 26 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “ლოკომოტივი” (მოსკოვი) 2:2 (2:0).

“ლოკომოტივი”: ტუგოლუკოვი, კორენოვი, სოროკინი, ზაიცევი, მედვედევი, ბელიაკოვი, მანშინი (ლატიშევი), კოვალევი, სიაგინი, ბუბუკინი, გორშკოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე (ლეჟავა), სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, პეტრიაშვილი, კალოევი, ბარქაია, მესხი.

მსაჯი: მ. რუბენისი (რიგა).

იშვიათად იქმნება სეზონის დასასრულს ისეთი რთული სიტუაცია გათამაშების ცხრილში, როგორიც ეს ჰქონდათ გუშინდელი მატჩის მონაწილეებს თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ლოკომოტივს”.

მოსკოვის გუნდს კონკრეტული ამოცანა გააჩნდა გადასაჭრელი - “ა” კლასში დარჩენა. საამისოდ მას აუცილებლად უნდა მოეგო თამაში და შემდეგ მოეცადა 27 ნოემბრის მატჩისათვის კიშინიოვის “მოლდოვასა” და კუიბიშევის “კრ. სოვეტოვს” შორის. თუ ეს უკანასკნელი წააგებდა შეხვედრას, რკინიგზელებს მომავალი წლისათვის გარანტირებული ჰქონდათ ადგილი უმაღლეს ლიგაში.

აი ასეთ პრობლემატურ მდგომარეობაში მყოფი გუნდისათვის უნდა მოეგოთ თბილისელებს და 1963 წლის ჩემპიონატს ისინი ამთავრებდნენ მეოთხე ადგილით, მაგრამ იყო კიდევ ერთი, ძალზე ძნელი ამოცანა, რომელიც ბრინჯაოს მედლის მიღების პერსპექტივას უქმნიდა დინემოელებს და უნარჩუნებდა მათ შარშანდელ წარმატებას. საჭირო იყო არა “უბრალო” გამარჯვება, არამედ გამარჯვება დიდი ანგარიშით - 7:0. მაშინ მესამე ადგილის ბედი დავას აღარ იწვევდა. იგი ჩვენს გუნდს რჩებოდა.

მაგრამ დამთავრდა მატჩი, მსაჯმა მ. რუბენისმა ჩაწერა ანგარიში 2:2 სამსაჯო ოქმში და საბოლოოდ გამოირკვა, რომ დასახული ამოცანის გადაჭრა ვერ შეძლო ვერც ერთმა მოწინააღმდეგემ - ვერც “დინამომ”, ვერც “ლოკომოტივმა”. თანაბრად გაყოფილმა თითო ქულამ რკინიგზელები უიმედო მდგომარეობაში დატოვა ქვედა ხუთეულში, ხოლო დინამოელებმა არა თუ მესამე ადგილი, მეოთხეც კი დათმეს და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე დამკვიდრდნენ (საინტერესოა აღინიშნოს, რომ 25 ჩემპიონატის მანძილზე თბილისის “დინამო” არასოდეს არ ყოფილა მეხუთე ადგილზე).

რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა, ვედაოთ ჩვენს ფეხბურთელებს 7:0-ის თაობაზე. დაამარცხო ასეთი ანგარიშით მოწინააღმდეგ, რომელსაც უკანასკნელი შანსი გააჩნია “ა” კლასში დასარჩენად, ეს თითქმის შეუძლებელს ნიშნავს, მაგრამ ამგვარი პასუხსაგები მატჩის ფრედ დამთავრებისა და მეოთხე ადგილის ხელიდან გაშვებისათვის გულშემატკივართა პრეტენზიები თბილისის “დინამოს” მიმართ სავსებით სამართლიანია. მითუმეტეს, რომ გუნდმა აბსოლუტური უპირატესობით ჩაატარა ტაიმი და თავის სასარგებლოდ დაამთავრა იგი.

დასაწყისი მართლაც შესანიშნავი იყო. პირველი ორი წუთის განმავლობაში ლოკომოტიველებს ორჯერ მოუხდათ კარის ხსნა უაღრესად სახიფათო მომენტებიდან. მასპინძელთა მარჯვენა ფრთა თამაშობდა შეუკავებელი, მძლავრი აგრესიით, მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე ნამდვილი პანიკა იყო შექმნილი და მე-4 წუთისათვის ტუგოლუკოვი იძულებული გახდა პირველი ბურთი გამოეტანა საკუთარი კარის ბადიდან. ბარქაიამ და მეტრეველმა ერთ შეხებაზე გაითამაშეს

კომბინაცია, რომლის დასკვნით ფაზაში უაღრესად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა კალოევი. მეკარესთან ბრძოლაში ცენტრალური თავდამსხმელი წამით შეფერხდა, რამაც ტუგოლუკოვს ბურთის მოგერიების საშუალება მისცა, მაგრამ მეტრეველი დროზე გავიდა საჭირო ადგილას და გახსნა ანგარიში - 1:0.

შეტევა, მხოლოდ შეტევა. თბილისელები თითქმის მთელი შემადგენლობით, ნახევარმცველების სისტემატური მონაწილეობით უტევდნენ მოპირდაპირე კარს და თუ "ლოკომოტივმა" საკმაო ხანს შეძლო მინიმალური ანგარიშის შენარჩუნება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დინამოელები სათანადოდ ვერ იყენებდნენ კარის აღების შესაძლებლობას. და ბოლოს, ის, რაც ვერ შეძლეს ფორვარდებმა, განახორციელეს ცენტრალურმა მცველმა ხურცილავამ. მან შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში, ბურთი მოხვდა სოროკინს და გავიდა კარში - 2:0.

თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო. მეორე ტაიმს უნდა განემტკიცებინა პირველის მონაპოვარი, მაგრამ შესვენების შემდეგ დინამოელთა იერიშებიდან არ დარჩა ნატამალიც კი. გუნდმა მთლიანად მისცა ინიციატივა მოწინააღმდეგეს და მაშინ, რომცა მდგომარეობა ძალზე დაიძაბა, გახევარდაცვამ ვერ შეძლო სათანადო დახმარების გაწევა დაცვისათვის. პირველი საპასუხო გოლი მე-10 წუთზე გაიტანა ბუბუკინმა, ხოლო მე-16 წუთზე იმავე ბუბუინის დარტყმის შემდეგ ანგარიში გაქვითა მანოშინმა - 2:2. ეს მეორე გოლი მთლიანად მეკარე კოტრიკაძის შეცდომას შეიძლება მიეწეროს. დასკვნითი 45 წუთის უაღრესად სუსტი, ქაოტური თამაშის შედეგად თბილისელებმა დაკარგეს სატურნირო ცხრილში უკეთესი ადგილის დაკავების შესაძლებლობა.

გამეორდა შარშანდელი ისტორია, როცა ჩვენმა გუნდმა სწორედ სეზონის ბოლო, გადამწყვეტ მატჩში განცდილი მარცხის წყალობით დაკარგა ვერცხლის მედლები.

რ. ქორიძე,
"ლელო", 27 ნოემბერი, 1963 წ.